განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„პროფესიული თეატრების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის

თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „პროფესიული თეატრების შესახებ“ კანონის პრაკტიკაში რეალიზაციისას გამოვლენილი მთელი რიგი ხარვეზები, რაც დაკავშირებულია სამხატვრო საბჭოების და დასის პოზიციების იგნორირებასთან, რაც ხშირ სემთხვევაში დამღუპველია თეატრის სრულფასოვანი საქმიანობისთვის. თეატრის სამხატვრო საბჭოს შერჩევისას გაჩნდა აბსოლიტურად ზედმეტი რგოლი, კულტურის სამინისტროსთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს სახით, რაც წარმოადგენს ზედმეტ ბიუროკრატიულ რგოლს. არ ხდება სამხატვრო საბჭოს და თეატრის პოზიციის გაზიარება. არ არსებობს თეატრში ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმი და ბალანსი, რომელიც გამორიცხავს სამხატვრო ხელმძღვანელის ერთპიროვნულ, ზოგჯერ მიუღებელ გადაწყვეტილებებს და მეტიც, მის მიერ თეატრის ინტერესის უხეში დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია, კანონის არსებული ხარვეზების გამოსწორება თეატრის სრულფასოვანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილებებით უქმდება სარეკომენდაციო საბჭო. სავალდებულო ხდება სამხატვრო საბჭო და იზრდება მისი უფლებები. ზუსტდება პროცედურები, რომლითაც განისაზღვრება სამხატვრო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი, სამხატვრო ხელზღვანელის შერჩევისა და მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი, თეატრის დასის შეკრებისა და მისი გადაწყვეტილებების მიღების წესი. დგინდება ბალანსი მინისტრის, სამხატვრო ხელმძღვანელის, სახატვრო საბჭოსა და თეატრის შემოქმედებით კოლექტივს (დასი) შორის. თეატრებში პრობლემების გადაწყვეტისას სავალდებულო ხდება სამხატვრო საბჭოსა და სამხატვრო ხელმძღვანელს შორის ურთიერთშეთანხმება მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე . შეუთანხმლებლობის შემთხვევაში მედიატორად გვევლინება დასი. თეატრი, როგორც შემოქმედებითი კოლექტივი დაცული უნდა იყოს პოლიტიკური კონიუქტურისაგან, არავის არ

უნდა გაუჩნდეს თანამდებობებზე ყოფნის შეუცვლელობის განცდა. თეატრებში უნდა არსებობდეს თავისუფალი კონკურენციის შესაძლებლობა. ხელი უნდა შეეწყოს ნიჭიერი ადამიანების მოზიდვას და მათ წარმოჩინებას. დასის სრულფასოვნად შემოქმედებით პროცესში ჩართვას და მათ დასაქმებას. ამჟამად მოქმედ კანონში ამ პუნქტების დაკონკრეტება არ მომხდარა. მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ხელი შეეწყობა თეატრებში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, შემოქმედებით თავისუფლებას, დისციპლინის განმტკიცებას და სხვა მრავალი გაუგებრობების თავიდან აცილებას. შემოქმედებითი კოლექტივები უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას თეატრების ფორმირებაში და მის განვითარებაში. ასევე მონაწილეობას მიიღებენ კრიტიკული ვითარების შექმნისას მის განმუხტვაში, რის საშუალებასაც იძლევა მოქმედ კანონში შესატანი ცვლილებები და რეგულაციები. კულტურის სამინისტრო იქნება თეატრების ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი, მაგრამ უშუალოდ ამ პოლიტიკის რეალიზაციაზე პასუხიმგებლობას თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი იკისრებს.

კანონს ემატება II[1] თავი „პროფესიული ეროვნული თეატრი", რაც მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობას მიეცეს შესაძლებლობა იმ თეატრებს, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს საქართველოში თეატრალური ხელოვნების განვითარებაში და სადაც ქართული თეატრის საფუძვლები ყალიბდებოდა, მიენიჭოთ ერონული პროფესიული თეატრის სტატუსი, რაც უზრუნველყოფს მათი ავტონომიურობის მაღალ ხარისხს და მთავრობის მხრიდან მათ მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში არ მონაწილეობდნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ზაზა პაპუაშვილი, გედევან ფოფხაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ზაზა პაპუაშვილი, გედევან ფოფხაძე.